ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9725069001
თარიღი:10/03/2025

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომა -03

დ. ლენტეხი. 28 /თებერვალი/2025წ.

მიმდინარე წლის 28 თებერვალს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 14 (თოთხმეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა საკრებულოს 7 (შვიდი) წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი. პირების ხელმძღვანელები და საკრებულოს აპარატის უფროსი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 21 თებერვალს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერმა მომართა საკრებულოს (წერილის N- 96-962505223) რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე. სხდომის ჩატარების ძირითადი მიზანი იყო ა(ა)ი.პირების 2024 წლის გეგმა - პროგრამების დაზუსტება. ამავე დროს 2025 წლის გეგმა-პროგრამების დამტკიცება, შესყიდვების ანგარიში მოსმენა და შესაბამისად 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანა. რიგგარეშე სხდომის **დღის წესრიგის პროექტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:**

1. ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N-20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი/

თანამომხს: საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2024 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გია ონიანი/.

თანამომხს: საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

3. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ 2024 წლის გეგმა პროგრამებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიადი ლობჟანიძე.

თანამომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

4. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ 2025 წლის გეგმა-პროგრამების დამტკიცების

შესახებ.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიადი ლობჟანიძე.

თანამომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

შენიშვნა რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით არ ყოფილა.

1. მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი - **. „ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N-20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.** მან აღნიშნა, რომ 2025 წლისთვის საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ყვალა აიპის თანამშრომელს მიეცეს სახელფასო დანამატი 10% და დამატებით 125 ლარი. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)ი.პ-ების სახელფასო ზრდამ 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით შეადგინა 1,520,500 ლარი. საქართველოს მთავრობის N-332 განკარგულებით ლენტეხის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1,000,000 ლარი ა(ა)ი.პირების თანამშრომელთა სახელფასო სუბსიდირებისათვის. აგრეთვე ლენტეხის მუნიციპალიტეტის ვალდებულებების შესასრულებლად საჭიროა თანხის დამატება სპორტულ ღონისძიებებზე 50,000ლარი. საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა 50,000ლარი, სარეზერვო ფონდი 35,000ლარი, გზები და ხიდების მუხლში 50 000 ლარი. აღხიშნული ღონისძიებებისათვის უნდა გაიზარდოს ბიუჯეტის ადგილობრივი შემოსავლები 705,500 ლარით.

აგრეთვე წარმოდგენილია 2025 წლის 1 იანვრისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული ნაშთის 3,366,900 ლარის განაწილება, თავისუფალი ნაშთი 361,800 ლარი და კაპიტალური 3,305,100ლარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდა გამომდინარე უნდა შევიდეს ცვლილება 2025 წლის ბიუჯეტში, დაზუსტდეს 2024 წლის გეგმა-პროგრამები და დამტკიცდესს 2025 წლის გეგმა-პროგრამები.

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კითხვები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში.

2. მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა წარმოადგინა **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2024 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში.**

ანგარიშთან დაკავშირებით საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიამ. ანგარიში მთლიანობაში კარგია, მგრამ იყო მცირე შენიშვნები, რასაც საფინანსო სამსახური ითვალისწინებს და დამატებით მოგვაწვდის დაზუსტებულ ინფორმაციას.

ანგარიშთან დაკავშირებით კითხვები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2024 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში დააყენა კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2024 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში შეფასდეს დადებითად.

3. მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ წარმოადგინა საკითხი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ 2024 წლის გეგმა პროგრამებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2024 წლის გეგმა-პროგრამების დაზუსტება რომ მომხდარიყო, საკითხი რამდენჯერმე იყო განხილული კომისიის სხდომაზე, 25 თებერვალს ამ საკითხზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემაჯამებელი სხდომა. სხდომაზე განხილული იქნა საკითხი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი. პირების 2024 წლის გეგმა -პროგრამებში ცვლილების შეტანის თაობაზე. წარმოდგენილ გეგმა-

პროგრამებს თან ერთვოდა განმარტებითი ბარათები. იყო შენიშვნები, შენიშვნები გათვალისწინებული იქნა აიპიების ხელმძღვანელების მიერ და საბოლოოდ გასწორდა გეგმა-პროგრამები. კომისიის ბოლო სხდომაზე გეგმა-პროგრამები შესაბამისობაში აღმოჩნდა დამტკიცებულ ბიუჯეტებთან.

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა, კარგია, რომ დაზუსტდა 2024 წლის გეგმა-პროგრამები. ვითვალისწინეთ იმ გარემოებას, რომ წლის ბოლოს იყო დაგროვილი ძალიან ბევრი საკითხი, ფაქტიურად იყო ფორსმაჟორული სიტუაცია და ვერ მოხერხდა გეგმა-პროგრამებში ცვლილებების შეტანა. მომავალში უნდა გაითვალისწინონ იპიების ხელმძღვანელებმა, რომ დროზე მოამზადონ გეგმა-პროგრამები ცვლილებებისთვის და წლის ბოლოს დასრულდეს ეს პროცესი.

დამატებითი კითხვები საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ის 2024 წლის გეგმა პროგრამებში ცვლილების შეტანის თაობაზე დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს ცვლილება ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ის 2024 წლის გეგმა პროგრამებში. (შესაბამისი განკარგულებები და გეგმა-პროგრამები თან ერთვის).

4. მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ წარმოადგინა საკითხი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ 2025 წლის გეგმა-პროგრამების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერიიდან წარმოდგენილია 13 (ცამეტი) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის გეგმა-პროგრამა.(მერის მომართვა 19/02/2025წ. N96-962505020). გეგმა -პროგრამებში ყველა დასაქმებულ პირზე უნდა იყოს ასახული საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე სახელფასო სარგოების 125 ლარიანი მატება და თანამდებობრივი სარგოს 10 %-იანი მატება.

კომისიის წევრები გაეცვნენ თითოეული ა.(ა).ი პირის გეგმა-პროგრამას. გაკეთდა შედარებები, შედარების შედეგად დაზუსტდა, რომ რომ ა.(ა)ი. პირების მიერ წარმოდგენილი გეგმა-პროგრამებში სწორად არის ასახული სახელფასო სარგოების მატება. წარმოდგენილ გეგმა-პროგრამებში არ ყოფილა ხარვეზები.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ის 2025 წლის გეგმა პროგრამების დამტკიცების თაობაზე დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ის 2025 წლის გეგმა პროგრამები. (შესაბამისი განკარგულებები და გეგმა-პროგრამები თან ერთვის).

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, დღის 14 საათსა და 30 წუთზე საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დასრულებულად გამოაცხადა.

გიორგი გაზდელიანი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე